ანი გოგბერაშვილი

გიგა კარაპეტიანი

ცხოვრება საჭიროებებს მილმა

ქალთა პრეკარიული შრომა და დროის ურთიერთმიმართება საქართველოში

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი
სამხრეთ კავკასია

ავტორები: გოგბერაშვილი ანი,
კარაპეტიანი გიგა
კვლევის ხელმძღვანელი: მაია ბარქაია

ცხოვრება საჭიროებებს მიღმა

ქალთა პრეკარიული შრომა და დროის ურთიერთმიმართება საქართველოში

კვლევა განხორციელდა
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონის
თბილისის ოფისის მხარდაჭერით

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი
სამხრეთ კავკასია

აბსტრაქტი

დღევანდელ საქართველოში ქალები ძირითადად დაბალ და ნაკლებანაზღაურებად პოზიციებს იკავებენ. ამასთან, მათი დიდი ნაწილი დასაქმებულია არაფორმალურად და ვერ სარგებლობს მინიმალური სოციალური და შრომითი დაცვის მექანიზმებითაც კი. ანაზღაურებად შრომაში ჩართულობის მიუხედავად, საშინაო საქმეების ვალდებულება უმეტესწილად ქალებზე მოდის, რაც მათ დასვენების დროს ფაქტობრივად არ უტოვებს.

კვლევის მიზანია თავისუფალი დროის ათვისების საკითხისა და მისი მნიშვნელობის შესწავლა სერვისის სფეროში დასაქმებული ქალების მაგალითზე. მიზნის მისაღწევად ვიკვლევთ ანაზღაურებადი შრომის, არაანაზღაურებადი შრომის და დასვენების დროის ადგილს ქალების ცხოვრებაში. ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ქალების დროის უდიდესი ნაწილი მიაქვს საჭიროებებისთვის შრომას, რაც არ ტოვებს ადგილს ავტონომიური აქტივობების შესრულებისთვის. საჭიროებაში ვგულისხმობთ იმ აქტივობათა ჯამს, რომელთა შესრულებაც აუცილებელია ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში (სამსახური, საოჯახო საქმეები), ხოლო ავტონომიური აქტივობა საჭიროების მიღმა არსებობს და დადებითი ემოციების მომტანია.

კვლევის დროს ვეყრდნობით მოსაზრებას, რომ გენდერული სამართლიანობის მიღწევა შეუძლებელია თავისუფალი დროის თანასწორი გადანაწილების გარეშე. ამასთან, ვაკრიტიკებთ დომინანტურ მიდგომას, რომელიც დროის დეფიციტის პრობლემის გადაჭრის გზებს ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებში და სამსახური-ცხოვრების ბალანსის დაცვაში ხედავს. მსგავსი დამოკიდებულება უკარგავს დროს პოლიტიკურ ხასიათს, დროის უქონლობას მიიჩნევს მოცემულობად და არა ამჟამინდელი ეკონომიკური წესრიგისა და წარმოების წესის შედეგად.

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია ეკონომიკური და სოციალური კოლაფსის ფონზე განვითარდა, რომელსაც თან ახლდა შრომითი კანონმდებლობის საფუძვლების რყევა და მშრომელთა უფლებების შელახვა. ამასთან ერთად, 2003 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის 66% თვითდასაქმებულად იქცა და სხვადასხვა მშრომელთა უფლებადამცველი ასოციაცია მშრომელი ხალხის გარეშე დარჩა. თვითდასაქმებულთა რაოდენობის ზრდა მიუთითებდა არა ბიზნესსექტორის გაძლიერებაზე, არამედ სამუშაო ადგილების არარსებობაზე. 2002 წელს ევროკავშირის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, დასაქმებული მოსახლეობის მხოლოდ 20%-ს ჰქონდა ხელფასიანი სამსახური (ჯონსი, 2013, გვ. 179). ამ პერიოდში პროფკავშირების დაუძლურება დაკავშირებულია პრივატიზაციის პროცესებსა და უკონტროლო დეინდუსტრიალიზაციასთან. საგულისხმოა, რომ გამქრალმა სამუშაო ადგილებმა საჯარო სივრციდან ქალების გაუჩინარება გამოიწვია – 2000 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, დაუსაქმებელი ადამიანების უმრავლესობას – 55%-ს ქალები წარმოადგენდნენ, ხოლო ამის პარალელურად, არსებობდა დაუსაქმებელი მოსახლეობის 43%, რომლებიც სხვადასხვა დარგის სპეციალისტები იყვნენ (ჯონსი, 2013, გვ. 179).

2003 წლის შემდგომ, თავისუფალი ბაზრისა და დერეგულაციის პოლიტიკის მხარდამჭერმა მთავრობამ დასაქმებულთა უფლებები და დამსაქმებელზე კონტროლის მექანიზმები კიდევ უფრო შეამცირა. 2005 წელს გაუქმდა შრომის სახელმწიფო ინსპექცია, ხოლო 2006 წელს კანონი პროფკავშირების შესახებ (1997) ახალმა შრომის კოდექსმა ჩაანაცვლა, რომელმაც მშრომელთა უფლებები მნიშვნელოვნად შეზღუდა (ჯონსი, 2013, გვ. 182). 2013 წელს შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, გაჩნდა დასაქმებულთა უფლებების დაცვის მინიმალური მექანიზმები.

დღესდღეობით, საქართველოში ფორმალურ სექტორში დასაქმებული ქალები იკავებენ დაბალ და ნაკლებანაზღაურებად პოზიციებს. შრომის ბაზარზე არსებული გენდერული

სეგრეგაცია და საბაზისო სერვისების არარსებობა ხელს უშლის ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას (UNDP, 2018, გვ. 26). საგულისხმოა, რომ ქალების დიდი ნაწილი დასაქმებულია არაფორმალურად და ვერ სარგებლობს მინიმალური სოციალური და შრომითი დაცვის მექანიზმებითაც კი. ჩვენი კვლევა ეხება, ერთი მხრივ, პრეკარიულ, სერვისის სფეროში დასაქმებული ქალების შრომით გამოცდილებას და, მეორე მხრივ, შრომისა და დასვენების დროის ურთიერთმიმართების საკითხს. სტატიაში მიმოვიხილავთ როგორც ანაზღაურებად, ისე აუნაზღაურებელ შრომასთან დაკავშირებულ თეორიულ დისკუსიებს, ხოლო დრო განხილულია, როგორც ცენტრალური ანალიტიკური კატეგორია. მონაცემთა ანალიზი სწორედ ზემოხსენებულ თეორიულ საფუძველს ეყრდნობა. კვლევა აგებულია შემდეგი კითხვების გარშემო: რა მიმართება არსებობს ანაზღაურებად, არაანაზღაურებად შრომასა და დასვენების დროს შორის, როგორ განმარტავენ რესპონდენტები ანაზღაურებადი სამუშაოს შემდეგ დარჩენილ დროს, რა სტრატეგიები აქვთ დასაქმებულ ქალებს დასვენების დროის ათვისებასთან დაკავშირებით და, მათი აზრით, როგორია ურთიერთმიმართება დროის არსებულ განაწილებასა და ქალების ცხოვრების ხარისხს შორის.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია სერვისის სფეროში დასაქმებული ქალების შრომითი გამოცდილებისა და დროის ათვისების საკითხის ურთიერთმიმართების შესწავლა.

კვლევის ამოცანებია:

1. შეისწავლოს ქალების გამოცდილებები ანაზღაურებადი სამუშაო დროისა და მის მიღმა დარჩენილი დროის გამოყენების შესახებ;
2. შეისწავლოს ქალების სტრატეგიები დროის ათვისებასთან დაკავშირებით;
3. გააანალიზოს, თუ როგორ აისახება დროის არსებული განაწილება ქალების ცხოვრების ხარისხზე.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ვიყენებთ თვისებრივ მეთოდოლოგიას, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდს, რომელიც გვეხმარება რესპონდენტების თვალსაზრისისა და გამოცდილების შესწავლაში, სამყაროს მათი თვალით დანახვაში. ამავდროულად, იმასაც ვიაზრებთ, რომ ჩვენი, როგორც მკვლევრების პოზიცია, მოსაზრებები, გრძნობები და გამოცდილებები დიდ გავლენას ახდენს საბოლოო შედეგზე (Trent & Cho, 2014, გვ. 639). კვლევის დროს ვეყრდნობით ფემინისტურ პოსტსტრუქტურალიზმს და ქალების წინაშე არსებულ რეალობას განვიხილავთ, როგორც სოციალურად კონსტრუირებულს. ვფიქრობთ, რომ ჩვენი რესპონდენტების ცხოვრებისეული მოცემულობა დიდწილად სწორედ სოციალური და კულტურული კონტექსტით აიხსნება. აქედან გამომდინარე, თავიდანვე ვაკეთებთ დაშვებას, რომ ჩვენ მიერ წარმოებული ცოდნა ინდივიდუალურად და სოციალურად კონსტრუირებულია (Trent & Cho, 2014, გვ. 639). კვლევა ეყრდნობა ფემინისტურ ეპისტემოლოგიას, რომელიც კვლევის ცენტრალურ ელემენტად აქცევს კონკრეტული ქალების გამოცდილებებს და ამ გამოცდილებებზე დაყრდნობით აგებს ცოდნას.

კვლევის საწყის ეტაპზე მოვამზადეთ ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი. ჩვენი მიზანი ისეთი გზამკვლევის მომზადება იყო, რომელიც ინტერვიუს მიმართულებას მისცემდა, ყურადღებას კვლევისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე გაამახვილებდა, თუმცა, ამავდროულად, რესპონდენტს დასკვნამდე დამოუკიდებლად მისვლის საშუალებას მისცემდა. საპილოტო ინტერვიუს შემდეგ, გზამკვლევში შევიტანეთ მცირედი შესწორებები, რამაც შემდგომ მისი ეფექტურობა კიდევ უფრო გაზარდა. საბოლოოდ, ჩატარდა ინდივიდუალურად ჩაღრმავებული თორმეტი ინტერვიუ. რესპონდენტებისგან ნებართვის აღებით, ხდებოდა ინტერვიუს აუდიოჩაწერა. საველე სამუშაოების ჩატარების შემდეგ, გაკეთდა ყველა აუდიოჩანაწერის ტრანსკრიპტი. ამას მოჰყვა მიღებული ინფორმაციის კოდირება და, საბოლოოდ, მათი გაერთიანება კვლევის ამოცანების შესაბამის კატეგორიებში. მოცემულ

ნაშრომში მოცემულია შეგროვებული მონაცემების ჩვენეული ანალიზი და ინტერპრეტაცია. ანალიზში ვგულისხმობთ მონაცემების შინაარსის გადმოცემას, ხოლო ინტერპრეტაციაში – რესპონდენტების სიტყვების მიღმა არსებული მნიშვნელობების შესწავლას (Trent & Cho, 2014, გვ. 641). ჩვენი, როგორც მკვლევრების, ხელწერა და დამოკიდებულებები სწორედ ინტერპრეტაციის დროს იჩენს თავს.

რესპონდენტების შერჩევის დროს გავითვალისწინეთ შემდეგი კრიტერიუმები: ყველა რესპონდენტი არის ქალი, რომელიც დასაქმებულია მომსახურების სფეროში, არის დაოჯახებული და ჰყავს ერთი შვილი მაინც. ვფიქრობთ, რომ ამ მახასიათებლების მქონე ქალებისთვის დროის საკითხი განსაკუთრებულად პრობლემურია, ვინაიდან ისინი ასრულებენ როგორც ანაზღაურებად, ისე აუნაზღაურებელ სამუშაოს. აღნიშნული ჯგუფი ავირჩიეთ მათი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელიც ხასიათდება არასტაბილურობით, დაბალი ანაზღაურებით, და მიიჩნევა, როგორც არაპრესტიჟული. ამავდროულად, ჩვენი რესპონდენტების უმეტესობას არ აქვს მკვეთრად განსაზღვრული სამუშაო დრო. ხშირ შემთხვევაში, სერვისის სფეროში დასაქმებული ქალები ასრულებენ იმ საქმეს, რომელთა შესრულება სახლშიც უწევთ. ყველაფერი ეს განაპირობებს დროის უკიდურეს სიმწირეს. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ ჯგუფთან მუშაობა დაგვეხმარა დროის საკითხის პრობლემურობის უკეთესად გააზრებაში.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის მიზანია, ერთი მხრივ, შეისწავლოს ქალთა ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომის გამოცდილებები და, მეორე მხრივ, შრომისა და დასვენების დროის ურთიერთმიმართება. ამგვარად, წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ იმ ძირითად ცნებებს, რომლებიც ჩვენი ანალიტიკური ჩარჩოს საფუძველს წარმოადგენს. თეორიული ჩარჩო აგებულია ანაზღაურებადი შრომის, აუნაზღაურებელი შრომის და დროის კონცეპტების გარშემო. თავდაპირველად მიმოვიხილავთ შრომის განმარტებასთან დაკავშირებულ თეორიებს, რის შემდეგაც შევეხებით ჰორიზონტალურ

და ვერტიკალურ სეგრეგაციას ქართულ შრომით ბაზარზე. ასევე ვისაუბრებთ ქალების ცხოვრებაში აუნაზღაურებელი შრომის თავისებურებსა და დროის განაწილებაზე, ამავდროულად, განვიხილავთ დასვენების დროის მნიშვნელობას და ადგილს.

ანაზღაურებადი შრომა: შრომა საჭიროებებისთვის და სამუშაო

ახალი წარმოების წესის დამკვიდრებასთან ერთად, შრომის მიმართ დამოკიდებულებები ისტორიის განმავლობაში იცვლებოდა. ანდრე გორცის (1989) თანახმად, შრომის თანამედროვე გაგება ინდუსტრიალიზაციასთან ერთად ყალიბდება, ხოლო პრეინდუსტრიულ საზოგადოებაში შრომა, რომელიც გადარჩენისთვის სრულდებოდა, საჯარო სფეროდან გარიყვის წინაპირობა იყო და დაბალი სოციალური საფეხურისადმი კუთვნილებას უსვამდა ხაზს. მაგალითად, ძველ საბერძნეთში პოლიტიკითა და ფილოსოფიით დაკავების შესაძლებლობა მხოლოდ მოქალაქეებს ჰქონდათ, ხოლო საჭიროებების უზრუნველსაყოფად ძირითადად მონები და ქალები შრომობდნენ, რაც მათ დაქვემდებარებულ პოზიციაზე მიუთითებდა (Gorz, 1989, გვ. 14). რაც შეეხება ინდუსტრიულ საზოგადოებაში შრომის მნიშვნელობას, ანდრე გორცი გამოყოფს სამი ტიპის აქტივობას:

1. შრომა – ეს არის აქტივობა, რომელიც სრულდება მესამე პირისთვის (დამსაქმებლისთვის). ამ დროს მშრომელი იღვწის არა საკუთარი, არამედ დამსაქმებლის მიზნების მისაღწევად, დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული დროითა და ინტენსივობით. ეს არის შრომა, რომლის სანაცვლოდაც დასაქმებული იღებს ანაზღაურებას.

2. საკუთარი თავისთვის შესრულებული სამუშაო – აღნიშნული საქმიანობის პირდაპირი მოსარგებლე თავად მშრომელია (ან მისი ოჯახი). ამ კატეგორიაში ექცევა სახლის საქმე, რაც ადამიანის ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებას ისახავს მიზნად.

3. ავტონომიური აქტივობა – სრულდება არა საჭიროებებიდან, არამედ საკუთარი სურვილებიდან და მისწრაფებებიდან გამომდინარე. ადამიანისთვის ავტონომიური

აქტივობა უნდა იყოს ბედნიერების და დადებითი ემოციების მომტანი. ის შეიძლება დაკავშირებული იყოს ხელოვნებასთან, განათლების სფეროსთან, მეცნიერებასთან, ქველმოქმედებასთან და ა.შ. ეს აქტივობა მიიჩნევა სამუშაოდ, რადგან მოითხოვს გარკვეული ტიპის ძალისხმევას და უნარებს (Gorz, Critique of Economic Reason: Summary for Trade Unionists and Other Left Activists, 1999).

გაი სტენდინგის თანახმად, შრომითი პროცესების სწორად ანალიზისა და ექსპლუატაციისა და კონტროლის სხვადასხვა ფორმის ამოცნობისთვის, აუცილებელია, გამოვყოთ კონცეპტუალური განსხვავებები როგორც *სამუშაოსა* [work] და *შრომას* [labour], ასევე *შრომასა* [labour] და *შრომით ძალას* [labour power] შორის (Standing, 2014, გვ. 964). *შრომა* სრულდება ხელფასის ან რაიმე სხვა ტიპის ანაზღაურებისთვის, მას აქვს საცვლელი ღირებულება და წარმოადგენს აქტივობას, რომელიც გულისხმობს დროისა და ძალისხმევის მიძღვნას სხვისთვის მუშაობისთვის. რაც შეეხება *შრომით ძალას,* სტენდინგის განმარტების მიხედვით, ესაა რეალიზებული და ლატენტური უნარების ერთობლიობა, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი გამოიყენება შრომის პროცესში (Standing, 2014).

შრომასა და სამუშაოს შორის არსებული საზღვრების არასტაბილურობაზე მიუთითებს სტენდინგის მიერ მოყვანილი მაგალითი: საკმარისია, ქალის მიერ სახლში შესრულებული საქმე გარეთ გავიდეს, რომ ის ანაზღაურებადი გახდება და პირიქით. ასე მაგალითად, თუ კაცი დაიქირავებს დამლაგებელ ქალს, დასაქმების სტატისტიკა და ეროვნული შემოსავალი იზრდება. თუ კაცი მას ცოლად მოიყვანს, ქალი ასრულებს იმავე საქმეს, თუმცა ეს ეროვნულ შემოსავალზე უარყოფითად აისახება, დასაქმების სტატისტიკა იკლებს, უმუშევრობის მაჩვენებელი კი იზრდება. ამ ყველაფერთან ერთად, ბონუსად, ქალი კარგავს საკუთარ შრომით უფლებებს (Standing, 2014, გვ. 965). სტენდინგის (2014) და დელფის (2016) მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითი აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება გარდაიქმნას ერთი და იმავე საქმის *სახმარი ღირებულება საცვლელ ღირებულებად.*

საქართველოში შრომით ბაზარზე შეიმჩნევა მკვეთრი ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაცია, რომლის შედეგადაც ქალების დიდი ნაწილი პრეკარიულ შრომაშია ჩაბმული (UNDP, 2018, გვ. 29). პრეკარიული შრომა ხასიათდება არასტაბილურობით, დაბალი ანაზღაურებით და მუდმივი დაუცველობის განცდით (Standing, 2014). მაგალითად, 2018 წლის მონაცემებით, ქალები საქართველოში, ძირითადად, ეკონომიკის ნაკლებმოგებიან სექტორებში არიან დასაქმებულნი და იმავე სექტორში დასაქმებულ კაცებთან შედარებით დაბალ პოზიციებს იკავებენ. შესაბამისად, ისინი, განათლების ხარისხის მიუხედავად, დაბალანაზღაურებად და დაბალკვალიფიციურ სფეროებში დომინირებენ (UNDP, 2018, გვ. 25-28). ამასთან, ხშირ შემთხვევაში, სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი ორსულობა და გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზები ხდება (UNDP, 2018, გვ. 35). შრომის პრეკარიული პირობები ქალებს საკუთარ დროზე კონტროლს აკარგვინებს, რაც ხელს უშლის მათ ეკონომიკურ გაძლიერებას და ქმნის ბარიერს გენდერული თანასწორობის გზაზე.

აუნაზღაურებელი შრომა: საშინაო შრომასთან დაკავშირებული დისკუსიები

ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია ცოდნის შექმნა იმის შესახებ, თუ როგორ ნაწილდება სახლის საქმეები – რას მოიცავს აღნიშნული ტიპის შრომა და ნაწილდება თუ არა ის გარკვეული სპეციფიკით ოჯახის წევრებს შორის. მას შემდეგ, რაც სახლის საქმე ფემინისტურ დღის წესრიგში მოექცა, საჭირო გახდა ახალი ტერმინების შექმნა, რომლებმაც სახლში შესრულებული საქმე და სახლთან დაკავშირებული საქმე მოიცვა. *შიდასამეურნეო საქმით* აღინიშნა ყველა ის საქმე, რომელიც სრულდებოდა შინ და ამ სახლში მცხოვრები ადამიანების მიერ (მათ შორის, კაცებისა და ბავშვების), ხოლო *სახლის საქმე,* როგორც ტერმინი – მთლიანად ქალების საქმეს მიემართა (დელფი &

ლეონარდი, 2016, გვ. 105). უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი *სახლის საქმე* სრულად ვერ ფარავს იმ საქმეების სპექტრს, რომელსაც ქალები სახლთან კავშირში ასრულებენ. კერძოდ, ხდება სახლის მიღმა შესრულებული ისეთი საქმეების უგულებელყოფა, როგორიცაა საყიდლებზე სიარული, ავადმყოფი ნათესავების მონახულება და ა.შ. ეს აქტივობები შიდამეურნეობის მიღმა სრულდება, თუმცა ოჯახს უკავშირდება. აღნიშნულ პრობლემას აგვარებს ტერმინ *საშინაო საქმის* გამოყენება. ეს ტერმინი, ერთი მხრივ, სახლში ქალის მიერ შესრულებულ საქმეებს აღწერს და, ამავდროულად, სახლთან დაკავშირებულ სხვა აქტივობებსაც მოიცავს (დელფი & ლეონარდი, 2016, გვ. 104).

საშინაო საქმის შესახებ დისკუსიებმა გამოკვეთა ფაქტი, რომ თავისუფალი დრო ქალებისთვის ფაქტობრივად არ არსებობს (დელფი & ლეონარდი, 2016, გვ. 101). თავისუფალ დროს ქალებს უწევთ არა მარტო ფიზიკური (რომლის სრულყოფილი აღწერაც მრავალფეროვნებიდან გამომდინარე შეუძლებელია) (დელფი & ლეონარდი, 2016, გვ. 101), არამედ ემოციური შრომაც ოჯახის წევრებსა თუ მათ ახლობლებზე ზრუნვის სახით (მაგ. ავადმყოფი ნათესავის მონახულება, ემპათიის გამოხატვა, უშუალოდ სახლში მოხუცის მოვლა-პატრონობა და ა.შ) (დელფი & ლეონარდი, 2016, გვ. 104).

საშინაო საქმეზე საუბრისას მნიშვნელოვანია მეოცე საუკუნიდან მოყოლებული ტექნოლოგიური პროგრესით გამოწვეული ცვლილებებიც. მაგალითად, ჭურჭლის, სარეცხი მანქანების შექმნა, რომლებმაც, ცხადია, საქმის შესრულება გააადვილა, თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქმის გაადვილებამ კაცები მის შესრულებაში ვერ ჩართო. ამასთანავე, მეოცე საუკუნეში დაწესდა სისუფთავის უფრო მაღალი სტანდარტები, რის შედეგადაც ქალებს უფრო ხშირად უწევდათ სხვადასხვა საქმის შესრულება, მაგალითად, ტანსაცმლის კვირაში რამდენჯერმე გარეცხვა (დელფი & ლეონარდი, 2016, გვ. 101).

დისკუსიები საშინაო შრომაზე, ხშირად, ვერ სცდება მისი ანაზღაურებად შრომად გარდაქმნის პერსპექტივას. ჩვენი კვლევისთვის, საშინაო საქმე მნიშვნელოვანია

იმდენად, რამდენადაც მასზე საუბარს მისი პოლიტიკური მნიშვნელობით ვაპირებთ. ამ იდეის უკან დგას მთელი რევოლუციური პერსპექტივა, რომელმაც ქალთა უხილავი საშინაო საქმე, შრომად უნდა აღიაროს. საშინაო საქმის განხილვა შრომად იმიტომ კი არ არის მნიშვნელოვანი, რომ ამ საქმეების შესრულებაში ქალებმა ხელფასები აიღონ, არამედ იმიტომ, რომ სრულად თქვან უარი მასზე, გათავისუფლდნენ ამ საქმისგან (Federici, 1975, გვ. 5). ვინაიდან, ქალის მიერ შესრულებული საშინაო საქმე მისთვის ადრეული სოციალიზაციის ეტაპიდანვე ხდება გარდაუვალი, ის მის შესრულებაზე უარს ვეღარ ამბობს, რადგან მის სქესს აღნიშნული შრომის შესრულება ექსკლუზიურად მიეწერება. ფედერიჩი ამბობს, რომ კაპიტალიზმის პირობებში ყველა მუშა ექსპლუატირებულია; მაგრამ ექსპლუატაცია განსხვავებულია ქალებისა და დასაქმებული კაცების შემთხვევაში. კაცები, რომლებიც საჯარო ველზე ანაზღაურებად შრომაში არიან ჩართულები, იბრძვიან უკეთესი შრომითი პირობებისთვის, უკეთესი ხელფასისთვის, მაშინ როცა ქალების შინ შრომა სრულად უგულებელყოფილია (Federici, 1975, გვ. 2). ჩვენი კვლევა ცენტრში აქცევს ქალს, რომელიც, თავის მხრივ, ასრულებს საშინაო საქმეს და, ამასთანავე, ჩართულია ანაზღაურებად შრომაში. აღნიშნული, ვფიქრობთ, მოგვცემს იმის შანსს, რომ საკითხი სიღრმისეულად გამოვიკვლიოთ და შევისწავლოთ იმ ქალების მდგომარეობა და შრომის სპეციფიკა, რომლებმაც შეძლეს ანაზღაურებად შრომაში ჩართვა, თუმცა ვერ გაექცნენ საშინაო საქმის შესრულების ექსკლუზიურ ვალდებულებას.

დროსთან დაკავშირებული დილემა

დროის ცნება ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ძირითადი ანალიტიკური კატეგორიაა. დროის შესწავლის საკითხმა ცენტრში მოაქცია მისი ათვისების სტრატეგიები და იმ საქმეების ნუსხა, რომელთა შესრულებაც ქალების ყოველდღიურ პრაქტიკაში შედის. 2014 წელს ჩატარებული კვლევა მოწმობს, რომ დროის ათვისების საკითხი სუბიექტისგან დამოუკიდებლად არსებობს; აღნიშნული კვლევა ერთმანეთისგან მიჯნავს გარკვეულ კონცეპტებს და მათი საშუალებით დროის გამოყენების კატეგორიებს ქმნის. სამუშაო

დროში იგულისხმება უშუალოდ ის დრო, რაც საჭიროა სრულ ან ნახევარ განაკვეთზე მუშაობისთვის. აუნაზღაურებელი შრომის კატეგორია, დროის შესწავლის საკითხის აღნიშნული კვლევისთვის, ერთ-ერთი ცენტრალურია. ამაში მოიაზრება საოჯახო საქმეების მთელი ნუსხა – ოჯახის ცხოველებზე ზრუნვა, დალაგება, დარეცხვა. მოვლა-მზრუნველობითი საქმიანობა, რომელიც, გარდა ფიზიკურად შესრულებადი საქმისა, ემოციურ შრომასაც მოითხოვს, კიდევ უფრო კომპლექსურია დროის შესწავლისთვის. ეს გულისხმობს ოჯახში მოხუცის ან ბავშვის მოვლა-მზრუნველობას. ბავშვთან გატარებული დრო მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც თავისუფალი დროის ათვისება მათ გარეშე არ/ვერ ხდება. გარდა ამისა, დასვენების დრო, რომელიც ამავე კვლევის დროით კატეგორიებში ცალკეა გამოყოფილი, გულისხმობს ისეთ აქტივობებს, როგორიც არის სეირნობა, კულტურულ აქტივობებში მონაწილეობის მიღება, კომპიუტერის გამოყენება, რეკრეაციული მებაღეობა, გართობა, თამაშით დაკავება და ა.შ. (OECD – Social Policy Division – Directorate of Employment, 2014, გვ. 1).

დროის მსგავსი გადანაწილება ფაქტობრივად დროს არ ტოვებს იმისთვის, რომ ქალებმა შეძლონ საკუთარი თავის მოვლა და პირადი სერვისებით სარგებლობა. საკუთარ თავზე ზრუნვაში იგულისხმება ისეთი ბაზისური მოთხოვნილებები, როგორიც არის ძილი და კვება. ხოლო პირადი სერვისები გულისხმობს ექიმთან ვიზიტს, სტილისტთან ვიზიტსა და ჰიგიენის დაცვას (OECD – Social Policy Division – Directorate of Employment, 2014, გვ. 1) და ა.შ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირადი დროის ათვისების საკითხი, გარდა დროის სიმწირისა, უკავშირდება გარკვეულ მატერიალურ რესურსებს. მაგალითად, ექიმთან ვიზიტისთვის საჭიროა გარკვეული მატერიალური რესურსის გამოყენება. შესაბამისად, მათზე ხელმისაწვდომობა დასაქმებული ქალებისთვის პრობლემური იქნება, რადგანაც დაბალი ანაზღაურება პრეკარიული შრომის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს. დროის გადანაწილების აღნიშნული კატეგორია არ ნიშნავს, რომ არსებობს დროის საკითხის ზუსტი აღწერა. სწორედ ამიტომ, არსებობს დროის დამატებითი კატეგორია – დაუზუსტებელი დრო, იგი მოიცავს ყველა იმ აქტივობას, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ დროით კატეგორიებში ვერ ექცევა. აღნიშნული მიუთითებს დროის

საკითხის შესწავლის კომპლექსურობაზე – ქალების მიერ შესრულებული აქტივობები იმდენად მრავალფეროვანია, რომ მისი ზუსტი დროითი კატეგორიზება შეუძლებელია.

დროის განაწილებისა და მასზე დაყრდნობით დროის ათვისების კლასიფიკაციის შექმნის კვლევით დასტურდება, რომ ყველა ქვეყანაში, მოვლა-მზრუნველობით საქმიანობას ძირითადად ქალი ასრულებს. ქალების მიერ სხვის მოვლაზე დახარჯული დრო, მინიმუმ, ორჯერ აღემატება იმ დროს, რომელსაც კაცები უთმობენ მზრუნველობითი საქმეების შესრულებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ოჯახში, რაც უფრო მეტად იზრდება ბავშვების რაოდენობა, იზრდება მათი მოვლისთვის დახარჯული დროის წილი ქალებისთვის და ის თითქმის სამმაგდება ორი ბავშვის მოვლის შემთხვევაში (OECD – Social Policy Division – Directorate of Employment, 2014, გვ. 3)

როგორც ნიკოლ მარი შიპენი ამბობს, არცერთი ადამიანის ცხოვრება არ უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ საჭიროებებით. იგი პრობლემად მიიჩნევს არა თავად საჭიროებისთვის შრომას, არამედ მის არათანაბარ განაწილებას (Shippen, 2014, გვ. 18). შიპენის მიხედვით, საჭიროება არის იმ აქტივობათა ჯამი, რომელთა შესრულებაც აუცილებელია ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში. საჭიროება წარმოადგენს ისტორიულ და ფარდობით კატეგორიას (Shippen, 2014, გვ. 8). მარქსსა და არისტოტელეს საჭიროება სხვადასხვაგვარად ესმით, თუმცა ორივესთვის საჭიროებაზე დახარჯული დროის შემცირება თავისუფლების წინაპირობაა (Shippen, 2014, გვ. 8). ძველ საბერძნეთში არსებული თავისუფლება მარქსისთვის მიუღებელი იყო, ვინაიდან ის ემყარებოდა იმ მონების, მსახურებისა და ქალების ჩაგვრას, რომლებიც რჩეულთა ნაცვლად შრომობდნენ საჭიროებისთვის. ხოლო კაპიტალისტურ სისტემაში – დაწინაურებულ პოზიციაში მყოფი ჯგუფების თავისუფლება ემყარება შრომის საზოგადოებრივ გადანაწილებას, კერძოდ, სქესობრივ ან/და რასობრივ სეგრეგაციას (Shippen, 2014, გვ. 8).

ნიკოლ მარი შიპენი აკრიტიკებს მიდგომას, რომელიც დროის დეფიციტის პრობლემის გადაჭრის გზებს ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებსა და სამსახური-ცხოვრების ბალანსის დაცვაში ხედავს. მსგავსი მიდგომა უკარგავს დროს პოლიტიკურ ხასიათს,

რადგან დროის მუდმივ დეფიციტს განიხილავს მოცემულობად და არა ამჟამინდელი ეკონომიკური წესრიგისა და წარმოების წესის შედეგად (Shippen, 2014, გვ. 18).

ნენსი ფრეიზერი თავისუფალი დროის თანასწორობას განიხილავს, როგორც უმნიშვნელოვანეს ფაქტორს გენდერული სამართლიანობისთვის. მის მიხედვით, ამ ტიპის თანასწორობა უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ქალები დროით სიღარიბეს არაპროპორციულად მძიმედ განცდიან (ფრეიზერი, 2017, გვ. 188).

მონაცემთა ანალიზი

ანაზღაურებადი შრომა

ანაზღაურებადი შრომის შესწავლისას ჩვენი მიზანი იყო, გამოგვევლინა მომსახურების სფეროში დასაქმებული რესპონდენტების პერსპექტივები მათი სამუშაო გამოცდილების, ამჟამინდელი სამსახურისა და, ზოგადად, ანაზღაურებად შრომაში გატარებული დროის შესახებ.

სამუშაო გამოცდილება

ჩვენთვის საინტერესო იყო, შეგვესწავლა, თუ როგორ მოხვდნენ კვლევის რესპონდენტები თავიანთ ამჟამინდელ სამსახურში და შეესაბამებოდა თუ არა მათი კვალიფიკაცია მათ მიერ დაკავებულ პოზიციას. რესპონდენტთა მსჯელობაში გამოიკვეთა პრეკარიული შრომისთვის დამახასიათებელი გამოწვევები.

პირველი, რაც რესპონდენტებთან საუბრისას გამოაშკარავდა, იყო ის, რომ ისინი ამჟამინდელი სამსახურისთვის ზედმეტ კვალიფიკაციას ფლობენ. ყველა მათგანს აქვს უმაღლესი განათლება და მათ უმეტესობას უმუშავია საკუთარი პროფესიით. გარდა რამდენიმე რესპონდენტისა, რომელიც შემცირებაში მოყვა, ჩვენ მიერ გამოკითხული ქალების უმეტესობას ყოფილი სამსახურიდან წამოსვლა ოჯახური მოვალეობების გამო

მოუხდა: „ორი ბავშვი მიყოლებით გავაჩინე და დეკრეტი ძალიან გამიგრძელდა. ამ დროს ჩემს სამსახურში ბევრი რამ შეიცვალა და უკან ვეღარ დავბრუნდი“.1

ის ფაქტი, რომ ქალებს დროის უქონლობის და ბავშვზე მზრუნველობის გამო სამსახურის დატოვება უწევთ, მიუთითებს ოჯახთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის არათანაბარ განაწილებაზე, ქალების როლის ესენციალისტურ ხედვაზე, ანდროცენტრისტულ დასაქმების პირობებსა და შესაბამისი სახელმწიფო სერვისების არარსებობაზე. თუ კაცებისთვის ოჯახი და შვილები არ წარმოადგენს ბარიერს კარიერულ და სოციალურ თვითგანხორციელებაში, ქალის შემთხვევაში ყველაფერი პირიქითაა: ბავშვების გაჩენა და მათზე ზრუნვა ბევრი მათგანისთვის კარიერის დასასრულს ნიშნავს. როგორც მარკეტში დასაქმებული რესპონდენტი შენიშნავს:

„დროს ვერ ვანაწილებდი შვილების მიხედვასა და სამსახურს შორის, ამიტომ იძულებული გავხდი, წამოვსულიყავი. მერე სახლში დავჯექი და დროთა განმავლობაში, პროფესია რაც მქონდა, იმაში გავხდი არაკომპეტენტური. საბოლოოდ მუშაობა მარკეტში დავიწყე“2.

მსგავსი წყვეტის შემდეგ ქალები რთულად ახერხებენ თავიანთი პროფესიით დასაქმებას და ხვდებიან ისეთ სამსახურებში, რომლისთვისაც ზედმეტ კვალიფიკაციას ფლობენ. როგორც რესპონდენტებთან საუბრისას ირკვევა, მომსახურების სფეროში დასაქმება, სხვა სფეროებთან შედარებით, გაცილებით ადვილია. შრომით ბაზარზე მუდმივად არის მოთხოვნა მომსახურე პერსონალზე და მსგავს პოზიციაზე მოხვედრა საჭირო კონტაქტების გარეშეც არის შესაძლებელი. შედეგად, ქალები ებმებიან პრეკარიულ შრომაში – მათი სამსახურები არის არასტაბილური, დაბალანაზღაურებადი და დაუცველი.

1 რესპონდენტი #1. 07.07.2018, თბილისი.
2 რესპონდენტი #2, 10/07/2018, თბილისი.

დაბალი ანაზღაურება და მძიმე სამუშაო პირობები

ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ მომსახურების სფეროში დასაქმებული ქალების ანაზღაურება მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან არაპროპორციულია. ხშირ შემთხვევაში, ანაზღაურება იმდენად მცირეა, რომ ბევრ მათგანს რამდენიმე სამსახურის შეთავსება უწევს. შედეგად, სამუშაო დღე იზრდება და შესაძლოა 10-12 საათსაც გადააჭარბოს, რაც ქალებს თავისუფალ დროს ფაქტობრივად არ უტოვებს. გარდა ამისა, მათ ხშირად უწევთ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება, რომელიც როგორც წესი, აუნაზღაურებელია. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ პასუხისმგებლობის რაიმე მიზეზით შემცირების შემთხვევაში მათი ხელფასი იკლებს, ხოლო თუ პასუხისმგებლობა იზრდება, ეს ხელფასზე არ აისახება. რესპონდენტთა ნაწილის სამუშაო გრაფიკი იმდენად მძიმეა, რომ მათთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს ძიება დროის ნაკლებობის გამო შეუძლებელია.

აღნიშნულ საკითხებში, ფორმალურად და არაფორმალურად დასაქმებული ქალების მდგომარეობა თითქმის არ განსხვავდება. ხელშეკრულებაში გაწერილი პირობები ხშირად ორაზროვანია, რაც დამსაქმებელს მისით მანიპულაციის საშუალებას აძლევს. ამასთან, დამსაქმებლები ხშირად უსვამენ ხაზს იმას, რომ ნებისმიერი დასაქმებულის ჩანაცვლება ადვილია, ამიტომაც ქალები უკმაყოფილებას ღიად იშვიათად გამოხატავენ. მართალია, კვლევის რესპონდენტების ხელფასი მიზერულია, თუმცა, როგორც ისინი აღნიშნავენ, შემოსავალი გარკვეული ტიპის დამოუკიდებლობას მაინც ანიჭებთ. გარდა ამისა, მათთვის სამსახური სოციალიზაციის საშუალებაც არის. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ, როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი შენიშნავს, მთელი დღის განმავლობაში სახლში დარჩენა და ოჯახის წევრებზე ზრუნვა მოუწევდათ: *„არაფერში არ მყოფნის ხელფასი, მაგრამ სხვა გზა არ არის. სახლში ჯდომას მაინც ჯობია“*[3].

[3] რესპონდენტი #6. 05/08/2018, თბილისი.

არის შემთხვევები, როდესაც დასაქმებულები, მათზე დაკისრებული ჯარიმების გამო, კუთვნილ ხელფასსაც კი ვერ იღებენ სრულად. მაგალითად, სუპერმარკეტებში გავრცელებულია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც აღწერის დროს საქონელზე აღმოჩენილი დანაკლისის ანაზღაურება თანამშრომლებს ეკისრებათ, მიუხედავად იმისა, რომ მათი პირდაპირი ბრალი არ დგინდება. ჯარიმები ხშირ შემთხვევაში საკმაოდ სოლიდურ თანხას აღწევს, რაც დამსაქმებლის კონტროლს თანამშრომლებზე კიდევ უფრო ზრდის. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც თანამშრომელს სამსახურის დატოვება სურს, თუმცა იმის გამო, რომ ჯარიმას ერთბაშად ვერ ფარავს, ამას ვერ ახერხებს.

„პროდუქციაზე ტარდებოდა აღწერა, შემდეგ დაითვლიდნენ შემოსავალს, გასავალს, ანუ აკლდა რაღაცეები პროდუქციას, ათასობით იყო ხოლმე დანაკლისები და ყველა თანამშრომელს გვინაწილებდნენ და ვიხდიდით“.

რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ სამუშაო ადგილას კადრების ნაკლებობის კომპენსაცია არსებული თანამშრომლებისთვის ზედმეტი ფუნქციების დაკისრებით ხდება. შესაბამისად, შესაძლოა, მაღაზიის კონსულტანტს დალაგებაც მოუწიოს და პროდუქციის საწყობში გადატანაც. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, რომელიც მაღაზიაში კონსულტანტად მუშაობდა, მას მთელი დღის განმავლობაში პროდუქციის დასაწყობება უწევდა (*„ფაქტიურად მტვირთავად ვმუშაობდი“*) და კლიენტების მომსახურებისთვის დრო არ რჩებოდა. ხელშეკრულებაში თანამშრომლის ფუნქციებთან დაკავშირებითაც ბუნდოვანი ჩანაწერებია. რა თქმა უნდა, დამატებითი სამუშაო დამატებით ანაზღაურებასთან დაკავშირებული არ არის. აღსანიშნავია, რომ ქალებზე განსაკუთრებით დიდი ზეწოლაა და, როგორც რესპონდენტები შენიშნავენ, ითვლება, რომ სამუშაო ადგილის მოწესრიგება მათი მოვალეობაა. ცხადია, ფუნქციების მსგავსი გადანაწილება უარყოფითად აისახება მომსახურების ხარისხზე. ხშირად, უკმაყოფილო კლიენტები აგრესიას გამოხატავენ კონსულტანტების მიმართ, მაშინ როდესაც ისინი რამდენიმე ადამიანის საქმეს ერთად ასრულებენ. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: *„ძნელია, კლიენტს მოემსახურო, როდესაც სამი ადამიანის საქმეს ერთად ასრულებ და აქეთ-იქით გიწევს სირბილი. ამის გამო, კლიენტების აგრესიაც ჩვენზე გადმოდის“.*

აღნიშნული ფაქტორი კიდევ უფრო ართულებს მომსახურების სფეროში ჩართული ადამიანების სამუშაოს.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპონდენტებიდან არცერთს არ უსარგებლია კანონით კუთვნილი შვებულების დღეებით. მათი თქმით, შვებულების ცნება მათ ცხოვრებაში საერთოდ არ არსებობს. თუ დასაქმებულს დასასვენებლად წასვლა სურს, მან გაცდენილი დღეები წინასწარ ან შვებულების შემდეგ უნდა აანაზღაუროს.

დასაქმების არასტაბილურობა და დაუცველობის განცდა

რესპონდენტთა ნაწილს შრომითი ხელშეკრულება საერთოდ არ აქვს გაფორმებული, რადგან ეს დამსაქმებლისთვის ზედმეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ნაწილს, მართალია, შრომითი ხელშეკრულება აქვს, თუმცა მის პირობებს კარგად არ იცნობს. რესპონდენტების თქმით, დამსაქმებლები ცდილობენ, რაც შეიძლება დააჩქარონ ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესი და ზოგიერთ შემთხვევაში დასაქმებულისთვის განკუთვნილი ასლის გადაცემას აჭიანურებენ. ამასთან, რესპონდენტები ამბობენ, რომ რაც არ უნდა მიუღებელი იყოს მათთვის ხელშეკრულების პირობები, არჩევანის უქონლობის გამო მისი ხელმოწერა მაინც მოუწევთ.

გარდა ამისა, სამუშაო ადგილებზე ხშირია შემცირებები. ერთ-ერთი რესპონდენტი სხვადასხვა სამსახურში რამდენჯერმე მოყვა შემცირებაში და შემოსავლის გარეშე დარჩა. მსგავსი გამოცდილება აიძულებს ადამიანს, მუდმივად სამსახურის დაკარგვის შიშში იცხოვროს და შემოსავლის დამატებითი წყაროები ეძიოს. სათადარიგო გეგმის ქონის აუცილებლობა აიძულებს ქალებს, რამდენიმე სამსახურში ერთდროულად იმუშაონ. აღსანიშნავია ისიც, რომ დასაქმება ხშირად ხდება ნაცნობობის და არა ოფიციალური განცხადების საფუძველზე. რესპონდენტმა აღნიშნა, რომ სამსახურის ძიებისას ყველაზე

კარგად „ნაცნობობა ჭრის“: „ვოცნებობ კვლავ ჩემი პროფესიით მუშაობაზე, თუმცა ამ სფეროში ნაცნობები არ მყავს და იმედიც არ მაქვს. თან ასაკიც არ მიწყობს ხელს“.

რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მომსახურების სფეროში დამსაქმებელი მოქმედებს ნაკლები დანახარჯისა და მეტი მოგების პრინციპით. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი შენიშნავს: *„საერთოდ არ ფიქრობენ დასაქმებულზე. მართლა საერთოდ არ ფიქრობენ. ისეთი შეგრძნება მრჩება, რომ ადამიანებადაც კი არ მივაჩნივართ“.* თანხების დაზოგვა უმეტესად თანამშრომლების ხარჯზე ხდება, რაც მათ სამუშაო პირობებს გაუსაძლისს ხდის. მათი უმეტესობა უჩივის დამსაქმებლის მხრიდან გულგრილობას და თვლის, რომ პროტესტის გამოხატვა აზრს მოკლებულია. ამ ყველაფრის გამო, თანამშრომლებს აქვთ მუდმივი დაუცველობის შეგრძნება.

ფსიქოლოგიური ზეწოლა თანამშრომლებზე

როგორც გაირკვა, დამსაქმებლები ხშირად მიმართავენ თანამშრომლების ექსპლუატაციის სხვადასხვა ტექნიკას. ბევრი მათგანი სარგებლობს იმ ფაქტით, რომ ქვეყანაში ახალი სამსახურის პოვნა არც ისე ადვილია. პროტესტის გამოხატვის შემთხვევაში თანამშრომლებს ეუბნებიან, რომ თუ უნდათ, შეუძლიათ სამსახური დატოვონ და მათ უპრობლემოდ ჩაანაცვლებს სხვა თანამშრომელი. მსგავსი დამოკიდებულება უარყოფითად მოქმედებს თანამშრომლების განწყობაზე, აჩენს დაუცველობის და უიმედობის განცდას. დასაქმებულთა ნაწილი სამსახურთან დაკავშირებულ პრობლემებს მხოლოდ პირად საუბრებში განიხილავს და ვერ ბედავს ან ვერ ხედავს აზრს პროტესტის გამოხატვაში.

გარდა ამისა, ბევრ კომპანიაში დამსაქმებლები ზედმეტად აკონტროლებენ თანამშრომლებს. მაგალითად, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სუპერმარკეტების ქსელის თანამშრომლებმა გვითხრეს, მათ გასახდელშიც კი კამერა აქვთ დაყენებული, რაც საერთოდ არ უტოვებს პირად სივრცეს. მიუხედავად მსგავსი

ძლიერი კონტროლისა, პროდუქციის დაზიანების/მოპარვის შემთხვევაში ბრალის დადგენა მაინც „ვერ ხერხდება“ და ზიანის ანაზღაურება თანამშრომლებს უწევთ.

გადამეტებული კონტროლის მაგალითია ზოგიერთ კომპანიაში დამკვიდრებული თანამშრომლების შეფასების რამდენიმეკრიტერიუმიანი სისტემა.

„შეფასების სისტემა შემოიტანეს, 7 პუნქტია და ჩამოწერილი აქვთ: ადამიანის ორგანიზებულობა, წესრიგი, მომხმარებელთან ურთიერთობა, ვადაგასულების კონტროლი და ერთ-ერთი პუნქტი აქვთ სოლიდარობა. სოლიდარობა ნიშნავს, რომ არასამუშაო დღეს გახვალ და იმუშავებ“.

თუ თანამშრომელი ყოველდღე ყველა კრიტერიუმში დადებით შეფასებას მიიღებს, თვის თანამშრომელი გახდება. მიუხედავად იმისა, რომ თვის თანამშრომლის სტატუსი მხოლოდ სიმბოლური წახალისებაა, ბევრი დასაქმებული დადებითი შეფასების მოპოვებისთვის არასამუშაო დროსაც შესაძლოა დარჩეს სამსახურში. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: *„ზოგიერთები ცდილობენ, რომ აი, რომ დაუძახებენ და ის ღამენათევიც არის და გადაღლილიც, იმ სოლიდარობის გრაფაში დადებითი შეფასება რომ ქონდეთ, იმის გამო წავლენ და იმუშავებენ“.*

ჩვენი აზრით, „სოლიდარობის“ ცნების მსგავსი ინტერპრეტაცია და მისი შეფასების სისტემაში ჩართვა თანამშრომლების ფსიქოლოგიურ მანიპულაციას და მათი დროითი რესურსების (დამსაქმებლის მხრიდან) მაქსიმალურად ათვისებას ემსახურება.

აუნაზღაურებელი შრომა: საშინაო შრომა

ანაზღაურებად შრომაში ჩართული ქალებისთვის სამსახური და პირადი ცხოვრება მკაფიოდ გამიჯნული არ არის. მძიმე სამუშაო დღიდან შინ დაბრუნებულებს, საშინაო საქმეების შესრულება უწევთ. ფაქტობრივად, ეს გულისხმობს მუშაობას „მეორე

ცვლაში“. საგულისხმოა ისიც, რომ კვლევის რესპონდენტი ქალები ანაზღაურებად შრომაზე უფრო მეტს საუბრობენ, ვიდრე საშინაო, აუნაზღაურებელ შრომაზე. ამის მიზეზი, გენდერული როლების ტრადიციული დაყოფაა, რომლის მიხედვითაც, კერძო სივრცეში შესასრულებელი სამუშაოსთვის ვალდებულება ექსკლუზიურად ქალს მიეწერება. საშინაო საქმეების შესასრულებლად ქალის მომზადება კი ადრეული სოციალიზაციის ეტაპიდანვე იწყება (Federici, 1975, გვ. 2). საშინაო საქმეების ნუსხა ვრცელია და მათი შესრულება საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, საშინაო საქმეების შესასრულებლად ისინი ითვისებენ ღამის პერიოდსა და შვებულების დროს, თუ ეს უკანასკნელი საერთოდ არსებობს მათ ცხოვრებაში. მათი თქმით, დატვირთული სამუშაო დღის შემდეგ, საშინაო საქმეების შესრულება განსაკუთრებულად დამღლელია. საშინაო საქმეზე ყველა რესპონდენტი ცოტას საუბრობს, ვინაიდან ისინი აღნიშნულს თავიანთ მოვალეობად მიიჩნევენ. ჩვენი კვლევისთვის საინტერესო იყო საშინაო საქმეების აღწერა. ქალები ძირითადად საუბრობდნენ სახლის დალაგებაზე, დარეცხვაზე, საჭმლის მომზადებაზე. მათი თქმით, ხშირად, აღნიშნულ საქმეებს წინასწარ აკეთებენ – რომ მომდევნო დღეს ოჯახის წევრებს ყველაფერი გამზადებული დახვდეთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რესპონდენტების მიერ ჩამოთვლილი და აღწერილი საშინაო საქმეების სია არასრულია. აღნიშნულს განაპირობებს სახლისა და სახლთან დაკავშირებული საქმეების უგულებელყოფა, რაც შეუძლებელს ხდის ტერმინის ზუსტ ოპერაციონალიზაციას (დელფი & ლეონარდი, 2016, გვ. 104).

აღსანიშნავია ისიც, რომ ქალები ქმრების მიერ საოჯახო საქმეების შესრულებას დახმარებად მიიჩნევენ, თუმცა ეს არ გულისხმობს საოჯახო საქმეების თანაბარ გადანაწილებას: *„ჩემი ქმარიც მეხმარებოდა რაღაცებში. ბავშვები სკოლაში მიყავდა და გამოყავდა ხოლმე“*[4]. საშინაო საქმეებში კაცების დახმარებასთან ერთად, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი საქმეების ჩამონათვალი მცირდება, თუ სახლში მათ გარდა სხვა ქალიც ცხოვრობს – ძირითადად, რესპონდენტი ქალის ან მათი ქმრის

[4] რესპონდენტი #12. 08/09/2018, თბილისი.

დედა. მათი თქმით, ეს ქალები, უმეტესად, ბავშვის აღმზრდელობით საქმიანობაში ეხმარებიან:

„ბავშვების აღზრდაში დედაჩემი მეხმარებოდა. მე ფიზიკურად ვერ ვახერხებდი ვერაფერს. არაფრის დრო არ მქონდა. სკოლაში, კრებაზეც კი ვერ დავდიოდი ხოლმე და ამაში დედაჩემი იყო აქტიურად ჩართული. სახლის დალაგებაში, საჭმლის მომზადებაში... რასაც ვერ ვახერხებდი, თვითონ აკეთებდა“[5].

კვლევის ყველა რესპონდენტს ჰყავს შვილი და ჰყავს ან ჰყოლია ქმარი. მათი თქმით, ბავშვის ყოლა, ქალების პასუხისმგებლობას ზრდის ოჯახის, განსაკუთრებით კი, შვილის/შვილების მიმართ. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ოჯახის მიმართ პასუხისმგებლობის აღება არასდროს ყოფილა თანაბარი მათსა და ქმრებს შორის; ყველა ქალი თვითონ იღებს ისეთი ტიპის პასუხისმგებლობას, როგორიც არის შვილზე/შვილებზე ზრუნვა, მათი ფინანსური უზრუნველყოფა, აღზრდა, საგანმანათლებლო პროცესებში მათი ჩართვა, საკვების მომზადების ვალდებულება:

„ბავშვზე ზრუნვას იმდენი დრო მიაქვს, თითქმის შემომათენდება ხოლმე. მეორე დღეს, სამსახურში, გათიშული მოვდივარ... ფინანსურად, ფიზიკურად, რა ვიცი, ყველანაირად მე ვარ მასზე პასუხისმგებელი და ყოველთვის ასე იყო. ქმარი როცა მყავდა, მაშინაც ასე ვიყავით...“[6]

აღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ ოჯახში შვილის ყოლის შემთხვევაში, ქალის პასუხისმგებლობა იზრდება. ისინი შვილების მოვლაზეც ცოტას საუბრობენ, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს ქალისთვის, რომელიც დედაა, „ჩვეულებრივ“ საქმეს წარმოადგენს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მიუთითებს რესპონდენტებში გენდერის ესენციალისტური ხედვის გავლენაზე. იგი მათ ცხოვრებაში იმდენად ღრმად არის გამჯდარი, რომ საოჯახო და მოვლა-მზრუნველობითი საქმეების შესრულებას თავიანთ მოვალეობად მიიჩნევენ:

[5] რესპონდენტი #10. 05/09/2018, თბილისი.
[6] რესპონდენტი #10. 05/09/2018, თბილისი.

„ბავშვი რომ გავაჩინე, სამი წელი სახლში ვიჯექი. ვერც ძიძას დავუტოვე... სამსახური ისეთი ვერ ვიშოვე, სადაც ხელს შემიწყობდნენ ან ანაზღაურება მექნებოდა შესაბამისი, რომ ძიძა ამეყვანა“[7].

ამასთანავე, ემოციურ შრომაზე საუბრისას, გვინდა, აღვნიშნოთ, რომ შრომის ამ კომპონენტის შესრულება ქალებს უწევთ, როგორც დასაქმების ადგილზე, ასევე სახლში. ეს გულისხმობს შვილების გამხნევებას, მათთან საუბარს; კომუნიკაციის დროს იმგვარი ემოციების გამოხატვას, რომელიც მათ, როგორც დედისა და/ან ცოლის როლს შეესაბამება:

„გვიწევს ფიზიკური შრომაც და შვილისთვის ცხოვრების დაგეგმვაც. ეს ყველაფერი ძალიან საპასუხისმგებლო და საშიშია. სანერვიულო ბევრია. ჩემს მეუღლეს უჭირდა ღამეების თენება, ბავშვის მოვლა, მიხედვა. ყველაფერი ჩემს კისერზე გადადიოდა“[8].

კვლევის აღნიშნული მიგნება ცხადყოფს, რომ საშინაო შრომას თან ერთვის ემოციური შრომის კომპონენტი – როგორც დამატებითი შრომა. ემოციური შრომა გულისხმობს ემპათიის გამოხატვას, მოვლა-პატრონობასა და განსაკუთრებულ ყურადღებას ოჯახის წევრებზე (დელფი & ლეონარდი, 2016, გვ. 104). აღნიშნული საქმე ექსკლუზიურად ქალების მოვალეობად მიიჩნევა და ყველაფერი ეს იმის ფონზე, რომ ქალები ემოციურ შრომას ანაზღაურებად შრომაში ჩართვის დროსაც ეწევიან.

გარდა ემოციური შრომისა, საშინაო საქმეები ქალებისთვის ინტელექტუალურ შრომასაც გულისხმობს, ანუ – ოჯახის ბიუჯეტის დაგეგმვასა და იმგვარად გადანაწილებას, რომ ის ოჯახის წევრებისთვის ხელფასიდან-ხელფასამდე სამყოფი გახდეს. როგორც ქალებმა აღნიშნეს, ამას თვითონ აკეთებენ; ოჯახის ბიუჯეტის დაგეგმვა კი შფოთვას უკავშირდება. მათი თქმით, ისინი არიან პასუხისმგებლები იმაზე, რომ ხარჯები სწორად გადანაწილონ, რომ მათი და მათი ოჯახის წევრების ისეთი ბაზისური მოთხოვნილებები, როგორიც არის კომუნალური გადასახადები, საცხოვრისის ქირა და კვება, დაკმაყოფილებული იყოს:

[7] რესპონდენტი #7. 13/08/2018, თბილისი
[8] რესპონდენტი #8. 23/08/2018, თბილისი.

„სანამ ქირის გადახდის დრო მოვა, მთელი თვე სულ განცდებში ვარ, რომ ერთი დღე და ერთი საათიც კი არ გადავაცილო. კიდევ ის მაქვს, რომ ხშირად ვამბობ, მოდი, დღეს ამას არ ვიყიდი და ფულს გადავდებ. გულგრილი არ ვარ პასუხისმგებლობების მიმართ“[9].

საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ საშინაო საქმეებს ქალები ასრულებენ, მათთვის ეს „ჩვეულებრივ“ საქმედ აღიქმება და ამ თემაზე ვრცლად საუბრისგან თავს იკავებენ, რაც კვლევის ერთ-ერთ მიგნებას წარმოადგენს. ეს ფაქტი, საოჯახო საქმის ზუსტ განსაზღვრას შეუძლებელს ხდის. საოჯახო საქმე უკავშირდება ოჯახის ბიუჯეტის დაგეგმვას, ემოციურ შრომას, ბავშვის მიმართ კი განსაკუთრებულ ღელვასა და მოვლა-მზრუნველობას. იქიდან გამომდინარე, რომ რესპონდენტი ქალები ანაზღაურებად შრომაშიც არიან ჩართულები, საოჯახო საქმეების შესასრულებლად თავიანთი მცირე დასვენების – ძილის დროს კიდევ უფრო ამცირებენ, რაც მათ ცხოვრებას განსაკუთრებულად დატვირთულსა და დამღლელს ხდის.

დროითი სიღარიბე

როგორც აღინიშნა, ქალები დროის უდიდეს ნაწილს ატარებენ სამსახურ(ებ)ში, ხოლო სახლში დაბრუნებულებს უწევთ როგორც საშინაო, ასევე ემოციური და ინტელექტუალური სამუშაოს შესრულება. დროის არსებულ განაწილებას კი ეწირება მათი ჯანმრთელობა, ინტერესები, პირადი ურთიერთობები და სხვა სოციალური აქტივობები.

თანამედროვე საზოგადოებაში დომინანტურია „ოჯახისა და სამსახურის ბალანსის“ თემა. დროის ეფექტურად განაწილების უნარი დადებით და აუცილებელ თვისებად წარმოჩინდება. ჩვენი აზრით, მსგავსი დამოკიდებულება ქალებს ძალიან დიდი წნეხის ქვეშ აქცევს. რესპონდენტებთან საუბრისას იგრძნობოდა, რომ ბევრი მათგანი „ყველაფრის მოსწრებას“ საკუთარ მოვალეობად მიიჩნევს. რამდენჯერმე გაისმა ფრაზები: „ქალი თუ მოინდომებს, ყველაფერს მოასწრებს“, „მთავარი მონდომებაა“. ეს

[9] რესპონდენტი #10. 05/09/2018, თბილისი.

დამოკიდებულება ქმნის არარეალისტურ მოლოდინს ქალების მიმართ, რაც აისახება მათ ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მას ხშირად აქვს უიმედობის განცდა, თუმცა დეპრესიაში ჩავარდნის „ფუფუნება“ არ აქვს. რესპონდენტების დამოკიდებულება დროის მიმართ კონფლიქტურია. მათ დასვენების დრო არასდროს რჩებათ. ასევე, ისინი მუდამ წუხან დროის დაკარგვაზე და ცდილობენ, ყოველი წუთი პროდუქტიულად გამოიყენონ. რესპონდენტები, ბუნებრივია, აცნობიერებენ დასვენების საჭიროებას, თუმცა თავს ამის უფლებას დროის არსებული განაწილების გამო ვერ აძლევენ: *„დროის უაზროდ ფლანგვა არ მიყვარს. შეიძლება ათასში ერთხელ მართლა დავისვენო, მაგრამ ამის უფლებას თავს ხშირად ვერ მივცემ“*[10].

დროის ფაქტორთან ერთად, რესპონდენტები დასვენების სიძვირეზე საუბრობენ. როგორც გაირკვა, მათი ანაზღაურება დასვენების ხარჯებს ვერც კი გასწვდება, დასვენების დრო რომ ჰქონდეთ. შვებულების ხარჯები მათთვის ცალკე ბარიერს წარმოადგენს. მაგალითად, ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ბოლო ორ წელიწადში საკუთარი ხარჯებით შვებულება მხოლოდ ორჯერ გამოიყენა, და ეს იმდენად ძვირი დაჯდა, რომ სამსახურში დაბრუნებულს გაორმაგებულ ცვლაში მოუწია მუშაობა:

„ხუთი დღით მოვახერხე დასასვენებლად წასვლა. საკმაოდ ძვირი დაჯდა ეგ სიამოვნება და რომ დავბრუნდი, დამატებითი მუშაობა მომიწია. ორმაგად დავიტვირთე; ბოლო ორი წლის განმავლობაში პირველად წელს დავისვენე“[11].

აღნიშნულ პრობლემას, ნაწილობრივ, აგვარებს ის ფაქტი, თუ ოჯახის რომელიმე ნათესავს საკუთარი აგარაკი აქვს. ასეთ შემთხვევაში, რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ ამ შანსს ხელიდან არ უშვებენ და მათ აგარაკზე მიდიან რამდენიმე დღით დასასვენებლად: *„ზაფხულში თუ წავალ ხოლმე აგარაკზე ერთი-ორი დღით*

[10] რესპონდენტი #11. 07/09/2018, თბილისი.
[11] რესპონდენტი #9. 07/09/2018, თბილისი.

დასასვენებლად. ეს აგარაკი არის ჩემი დის მეუღლის და თუ დრო მაქვს, მივდივარ ხოლმე"[12].

კვლევის ამ მიგნებით, გვინდა, ხაზი გავუსვათ, რომ დასვენების დროის არსებობა და შემდგომ – მისი ათვისება, დროითი კატეგორიების სქემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში (OECD – Social Policy Division – Directorate of Employment, 2014, გვ. 1) და ეს უკანასკნელი, რესპონდენტი ქალების ცხოვრებაში იშვიათად თუ არსებობს. დროით კატეგორიებში, დასვენება გულისხმობს ისეთი ტიპის აქტივობებსაც, რომელსაც ნაკლები დრო სჭირდება – სეირნობა, კულტურულ აქტივობებში მონაწილეობის მიღება, გართობა, თამაშით დაკავება (OECD – Social Policy Division – Directorate of Employment, 2014, გვ. 1). მაგალითად, ერთ-ერთმა რესპონდენტმა სეირნობაის შესახებ თქვა, რომ ამაზე საუბარი სასაცილოა, რადგან ამის დრო ფიზიკურად არ აქვს. ასევე, რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ისეთ კულტურულ აქტივობებში, როგორიც თეატრში სიარულია, ჩართვას ვერ ახერხებენ.

„დასვენების დრო რომ მქონდეს, შეიძლება გავისეირნო... თეატრში წავიდე. ძაან მიყვარს თეატრი, სპექტაკლების მონახულება. თუნდაც სადმე, ბუნებაში წასვლა. განტვირთვა ძალიან აუცილებელია, მაგრამ ამის დრო სად მაქვს"[13].

რესპონდენტების თქმით, დროის არქონა მათ სტრესულ მდგომარეობაში აგდებს. მაგალითად, ხანგრძლივი სამუშაო დღე, რამდენიმე რესპონდენტისთვის, იმდენად სტრესული აღმოჩნდა, რომ ახლა მკურნალობენ. მკურნალობა კი პერსონალური სერვისის ერთ-ერთ კატეგორიას განეკუთვნება (OECD – Social Policy Division – Directorate of Employment, 2014, გვ. 1), რაც ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების საწინდარია. აღნიშნული კი დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან – ექიმის მომსახურება, წამლების შეძენა; აღნიშნული ხარჯების დაფარვა კი ქალებს არ შეუძლიათ, მიუხედავად მათი ხანგრძლივი და სტრესული სამუშაო დღეებისა:

[12] რესპონდენტი #9. 07/09/2018, თბილისი.
[13] რესპონდენტი #9. 07/09/2018, თბილისი.

„ჩემი თანამშრომელი, ერთი ქალი, იმ დონეზე დაავადდა, რომ ეხლა მკურნალობს. არ ვიცი, როდის მორჩება. ყველაფერი დაემართა. ყველას ერთნაირი გამძლეობა ხომ არ აქვს?! რვა თვე იმუშავა და რა ხელფასიც აიღო, არც ყოფნის, რომ დადგეს და იმკურნალოს“[14].

როგორც აღინიშნა, ქალებს, ხშირად, საოჯახო საქმეების შესრულება ღამის მონაკვეთში უწევთ. ეს მათი ძილის დროს ამცირებს. ძილი კი დროითი კატეგორიების სქემაში პერსონალური მოვლის ერთ-ერთ კომპონენტად მიიჩნევა, რაც ადამიანის ჯანსაღი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვან ბაზისს წარმოადგენს (OECD – Social Policy Division – Directorate of Employment, 2014, გვ. 1). გვსურს, ასევე აღვნიშნოთ, რომ პერსონალური სერვისის ერთ-ერთი კომპონენტია კვება (OECD – Social Policy Division – Directorate of Employment, 2014, გვ. 1). იქიდან გამომდინარე, რომ რესპონდენტები დროის უმეტეს ნაწილს სამსახურში ატარებენ, დავინტერესდით, ჰქონდათ თუ არა საკმარისი დრო კვებისთვის. მაგალითად, როგორც გაირკვა, რესპონდენტების ნაწილს, რომლებიც 24-საათიანი სამუშაო გრაფიკით მუშაობენ, შესვენება აქვთ მხოლოდ სამჯერ – 20-20 წუთით. მათი თქმით, ეს დრო მცირეა კვებისთვის, დალევისა და საპირფარეშოს გამოყენებისთვის.

დროისა და პასუხისმგებლობების არსებული გადანაწილება ქალებს განსაკუთრებული წნეხის ქვეშ აქცევს. მათ არ რჩებათ თავისუფალი დრო. ყველა რესპონდენტი ქალი განიცდის დროის დეფიციტს. მათ არ აქვთ შვებულების დრო და ფული, სეირნობის, კულტურულ აქტივობებში მონაწილეობის დრო. ხშირად, საშინაო საქმეებისა და ანაზღაურებად შრომაში ჩართვა მათ ჯანმრთელობას იწირავს. ეს განაპირობებს ექიმთან მუდმივ ვიზიტებსა და მკურნალობას. აღნიშნული ხარჯების დაფარვა ქალებს არ შეუძლიათ, სამსახური კი მათ ამგვარი სერვისებით არ უზრუნველყოფს. ამის ფონზე, ქალები მიიჩნევენ, რომ ვალდებულები არიან, დროის სწორად გადანაწილება შეძლონ. მათ დროის გადანაწილება ინდივიდუალურ პასუხისმგებლობამდე დაჰყავთ.

[14] რესპონდენტი #8. 03/09/2018, თბილისი.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ქალების ცხოვრების უდიდესი ნაწილი მიაქვს საჭიროებებისთვის შრომას. ისინი დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ სამსახურში, მცირე ნაწილს ფიზიკური რეაბალიტაციისთვის (ძილი, კვება, ა.შ.), შემდეგ კი სახლის საქმეების შესრულებაში. შედეგად, საერთოდ არ რჩებათ დრო დასვენებისთვის, რაც მათ ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე ძალიან ცუდად აისახება.

დასკვნა

კვლევის ანალიტიკურ ჩარჩოს ქალების იმ გამოცდილებების შესწავლა წარმოადგენდა, რომელიც დაკავშირებული იყო მათ ანაზღაურებად შრომასთან, საშინაო საქმესა და დროის საკითხთან. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლოა ითქვას, რომ რესპონდენტები ჩართულები არიან ისეთი ტიპის ანაზღაურებად შრომაში, რომელიც დაბალანაზღაურებადი და არასტაბილურია. მსგავსი ტიპის შრომა არის პრეკარიული მისი კლასიკური გაგებით (Standing, 2014, გვ. 967). საგულისხმოა ისიც, რომ რესპონდენტების მიერ შესრულებული ანაზღაურებადი შრომის დროისა და ინტენსივობის რეგულირება ხდება დამსაქმებლის მიერ; ზედმეტი სამუშაო არ ნიშნავს დამატებით გასამრჯელოს – დასაქმებულის მიერ შრომა იწარმოება დამქირავებლის მიზნების მისაღწევად. ანაზღაურებადი შრომის მსგავსი გაგება დაკავშირებულია ისეთი ტიპის შრომასთან, რომელიც ინდუსტრიულ საზოგადოებებში არსებობს (Gorz, Critique of Economic Reason: Summary for Trade Unionists and Other Left Activists, 1999). მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ კვლევის რესპონდენტები, რომლებიც პრეკარიულ შრომას ასრულებენ, ფლობენ იმაზე მეტ კვალიფიკაციას, ვიდრე ეს მათი ამჟამინდელი სამსახურისთვის არის აუცილებელი; მაშასადამე, რესპონდენტები მათი განათლების ხარისხის მიუხედავად, დაბალანაზღაურებად შრომაში არიან ჩართულები. ქალების ანაზღაურებადი შრომის გამოცდილებების შესწავლით, ვასკვნით, რომ შრომის პრეკარიული პირობები შეუძლებელს ხდის დროის კონტროლს, რაც გენდერული თანასწორობის მიღწევის ბარიერს ქმნის. კვლევის ერთ-ერთ მიგნებას წარმოადგენს ის, რომ ქალები უფრო მეტს საუბრობენ ანაზღაურებად შრომაზე, ვიდრე აუნაზღაურებელ –

საშინაო შრომაზე. მათთვის საშინაო საქმე „ბუნებრივი“ და „აუცილებელი“ საქმეა, რომელიც მათთვის ექსკლუზიურ მოვალეობად აღიქმება. საშინაო საქმეების მსგავსი გადანაწილება ქალების ექსპლუატაციის ხარისხს ზრდის – ქალებს უწევთ როგორც უკეთესი შრომითი პირობებისთვის ბრძოლა, ასევე ბრძოლა იმისთვის, რომ მათ მიერ შესრულებული საშინაო საქმეები შრომად კლასიფიცირდეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საშინაო საქმეები მოიცავს ემოციურ და ინტელექტუალურ საქმესაც. ემოციურ შრომაში ვგულისხმობთ მოვლა-მზრუნველობით საქმეს, ხოლო ინტელექტუალურში – ოჯახის ბიუჯეტის დაგეგმვას და მის იმგვარ გადანაწილებას, რომ ის თვიდან-თვემდე (ხელფასიდან-ხელფასამდე) სამყოფი გახდეს. კვლევამ ცხადყო, რომ „ნაქები თავისუფალი დრო“ (დელფი & ლეონარდი, 2016, გვ. 102) არ არსებობს. პრეკარიული და საშინაო შრომა ქალებს დასვენების დროს არ უტოვებს. ქალებს არ აქვთ დრო სეირნობისთვის, კულტურულ აქტივობებში მონაწილეობის მიღებისთვის (თეატრსა და კინოში სიარული), წიგნის კითხვისთვის, ფილმის ყურებისთვის; აღნიშნული განაპირობებს მათი დასვენების დროის არარსებობას (OECD – Social Policy Division – Directorate of Employment, 2014, გვ. 1), რასაც მათი ორ ცვლაში (ანაზღაურებადი და ანაზღაურებადი შრომა) მუშაობის შედეგია. ქალების აღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით, პრობლემური ხდება დროის ცნების ინდივიდუალური გაგება – სამსახური-ცხოვრების ბალანსის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ქვეშ დაყენება და სტრუქტურული პრობლემების უგულებელყოფა; ვინაიდან, აღნიშნული, დროის საკითხს პოლიტიკურ მნიშვნელობას უკარგავს და მის მუდმივ დეფიციტს განიხილავს, როგორც მოცემულობას და არა არსებული ეკონომიკური წესრიგისა და წარმოების წესის შედეგს (Shippen, 2014, გვ. 18).

ბიბლიოგრაფია

Cejka, M. A., & Eagly, H. A. (1999). Gender Stereotypic Images of Occupations Correspond to the Sex Segregation of Employment. *Personality and Social Psychology Bulletin, 25*(4), 413-423.

Federici, S. (1975). Wages Against Housework. W. Edmond, & S. Fleming (რედ.)-ში, *Women, Housework and Wages Due.* Falling Wall Press. მოპოვებული 2018, Caring Labor: An Archive.-დან

Glick, P. (1991). Trait-Based and Sex-Based Discrimination in Occupational Prestige, Occupational Salary, and Hiring. *Sex Roles, 25*(5-6), 351-378.

Gorz, A. (1989). *Critique of Economic Reason.* (G. Handyside, & C. Turner, თარჯ.) London, New York: Verso.

Gorz, A. (1999). Critique of Economic Reason: Summary for Trade Unionists and Other Left Activists. In P. Waterman, *Labour Worldwide in the Era of Globalization: Alternative Union Models in the New World Order.* Palgrave.

OECD – Social Policy Division – Directorate of Employment, L. a. (2014). *Tome use for work, care and other day-to-day activities.* OECD Family database. მოპოვებული www.oecd.org/social/family/database-დან

Shippen, N. M. (2014). *Decolonizing time: work, leisure, and freedom.* New York: Palgrave Macmillan.

Standing, G. (2014). Understanding the Precariat Through Labour and Work. *Development and Change, 45*(5), 963-980.

Trent, A., & Cho, J. (2014). Interpretation Strategies: Appropriate Concepts. P. Leavy-ში, *The Oxford Handbook of Qualitative Research* (გვ. 639-658). New York: Oxford University Press.

UNDP. (2018). *გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები.* თბილისი: საქართველოს პარლამენტი.

დელფი, ქ., & ლეონარდი, დ. (2016). კვლავაც კაპიტალიზმის ნაწილი? მარქსისტულ-ფემინისტური პერსპექტივები ოჯახზე. *თარგმანების კრებული* (ს. ლაცაბიძის თარგმანი, რედ. თ. ქებურია, გვ. 82-118). თბილისი: „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“.

კონსტიტუციის 42-ე მუხლი. (2014). *გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში.* თბილისი: USAID.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2017). *ქალი და კაცი საქართველოში.* თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ფრეიზერი, ნ. (2017). *ფემინიზმის თავგადასავალი: სახელმწიფოს მიერ მართული კაპიტალიზმიდან ნეოლიბერალურ კრიზისამდე.* თბილისი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო.

ჯონსი, ს. (2013). *საქართველო პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.